მარიამ გელხაური*

პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდული ორგანიზაციები საქართველოში, როგორც ახალგაზრდობის პოლიტიკური სოციალიზაციის ინსტრუმენტი (2020 წლის საპარლამენტო არჩევნები)

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია საქართველოს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდული ორგანიზაციების როლი ახალგაზრდების პოლიტიკურ სოციალიზაციაში. 9 პოლიტიკური სუბიექტის (რომელთაც გადალახეს 1%-იანი ბარიერი) ახალგაზრდა წარმომადგენლებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა ახალგაზრდობის პოლიტიკური სოციალიზაციის შესაძლებლობები. დადგინდა, რომ პოლიტიკური პარტიები თავიანთ რიგებში ნაკლებად უწყობენ ხელს ახალგაზრდებს განვითარდნენ პოლიტიკურად და განავითარონ თავიანთი პოლიტიკური კარიერა პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდული ორგანიზაციებიდან.

დღევანდელ პოლიტიკურ პარტიებში შეინიშნება ახალგაზრდული ორგანიზაციების წევრებისადმი გამოყენებითი დამოკიდებულება, რაც იწვევს ახალგაზრდობის ნიჰილისტურ დამოკიდებულებას პარტიების და ზოგადად პოლიტიკის მიმართ, რის გამოც, ხშირად, ტოვებენ ხოლმე პარტიას. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში პარტიების ახალგაზრდული ორგანიზაციების წინასაარჩევნო პერიოდის აქტივობები განსხვავდებოდა არჩევნების

* ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ მკვლევარი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების დოქტორანტი

შემდგომი პერიოდის აქტივობებისგან. დადგინდა, რომ არჩევნების შემდგომ ახალგაზრდების რაოდენობა ახალგაზრდული ფრთის რიგებში დრამატულად იკლებს, გამომდინარე პარტიის მხრიდან რესურსებისა თუ ინიციატივების შემცირებიდან.

საკვანძო სიტყვები: *ახალგაზრდული ორგანიზაციები, პოლიტიკური პარტიები, საპარლამენტო არჩევნები, პოლიტიკური სოციალიზაცია*

შესავალი

პოლიტიკა საზოგადოებრივი საქმიანობის ის სფეროა, რომელიც თითოეული ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებას განაპირობებს. დღესდღეობით, არსებობს წარმოდგენა, რომ „პოლიტიკა ბინძური საქმეა“, წინამდებარე კვლევის პროცესში ჩატარებულ 17 სიღრმისეულ ინტერვიუში რესპოდენტთა უმეტესობა, სწორედ პოლიტიკის სიბინძურეზე მიუთითებდა, მასში ჩართული ადამიანებიდან გამომდინარე. ამიტომ, უნდა ვიფიქროთ, რომ საზოგადოებაში მაღალია პოლიტიკურ პროცესებში ახალი სახეების გაჩენის მოთხოვნა. ახალგაზრდობა წარმოადგენს საზოგადოების იმ სეგმენტს, რომელსაც შეუძლია *„პოლიტიკის გაკეთილშობილება.“* [1] მათი ბრძოლისუნარიანობა, ინიციატივა, პროტესტი, მოვლენებისადმი ობიექტური და კრიტიკული დამოკიდებულება, მნიშვნელოვანია ჯანსაღი საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში. თანამედროვე მსოფლიოს ტექნოლოგიური განვითარების ფონზე, ახალგაზრდებს უკეთ შეუძლიათ აუწყონ ფეხი ინოვაციურ პროცესებს, მათ შორის პოლიტიკაში. ახალგაზრდების ჩართულობა პოლიტიკურ პროცესებში დასავლური პოლიტიკური კლასის დამკვიდრების წინაპირობაა, სწორედ ახალ პოლიტიკურ სახეებს შეუძლიათ შეცვალონ

[1] სიღრმისეული ინტერვიუ „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატთან, 15 მაისი, 2021

არსებული რეალობა. ამის პარალელურად მნიშვნელოვანია ახალგაზრდობის ჯანსაღი პოლიტიკური სოციალიზაციის ხელშეწყობა. წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში ჩვენი მიზანია, განვსაზღვროთ უშუალოდ პარტიების ახალგაზრდული ორგანიზაციების როლი ახალგაზრდობის პოლიტიკურ სოციალიზაციაში. საინტერესოა, საქართველოს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინა და შემდგომ პერიოდში, რამდენად ასრულებდნენ პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდული ორგანიზაციები ახალგაზრდობის პოლიტიკური სოციალიზაციის აგენტების როლს.

პოლიტიკური სოციალიზაცია წარმოადგენს ისეთ პროცესს, რომლის საშუალებითაც მოქალაქეები ახდენენ პოლიტიკური იდენტობის, ღირებულებებისა და ქცევის კრისტალიზაციას, რომლებიც შედარებით მდგრადია მთელი ცხოვრების განმავლობაში. ჯერ კიდევ 1959 წელს ჰიმანმა განმარტა პოლიტიკური სოციალიზაცია, როგორც ინდივიდის „სოციალური ნიმუშების სწავლა, რომელიც შეესაბამება მის სოციალურ პოზიციას, როგორც შუამავლობით საზოგადოების სხვადასხვა სფეროში“ (Hyman, 1959). პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესი ხდება თითოეული ინდივიდის ცხოვრებაში და განპირობებულია მრავალი სოციალური აგენტის მონაწილეობით, როგორებიცაა მშობლები, მეგობრები, მასწავლებლები, ინსტიტუციები, პოლიტიკური პარტიები, მედია და სხვა. მოგვიანებით, მერელმანმა გააფართოვა პოლიტიკური სოციალიზაციის კონცეფცია და განსაზღვრა ის, როგორც „პროცესი, რომლის დროსაც ადამიანები იძენენ შედარებით მდგრად ორიენტაციას პოლიტიკისა და თავიანთი პოლიტიკური სისტემის გარშემო“ (Merelman & Herman, 1986, pp. 279-319). პოლიტიკური სოციალიზაციის თეორიებში ითვლება, რომ ადრეული ცხოვრების გამოცდილება მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს შემდგომ ისეთ პოლიტიკურ დამოკიდებულებებს, როგორებიცაა პოლიტიკური ღირებულებები და იდენტობა, ასევე პოლიტიკური ჩართულობა და პოლიტიკური ქცევა.

პოლიტიკური სოციალიზაციის უფრო თანამედროვე განსაზღვრება მომდინარეობს გლასბერგისა და სხვა ავტორებისგან და შემდეგნაირად გამოიყურება: „პოლიტიკური სოციალიზაცია არის პროცესი, რომლის საშუალებითაც ინდივიდები სწავლობენ და ხშირად ინტერნალიზაციას უკეთებენ პოლიტიკურ ლინზებს, რაც აყალიბებს მათ წარმოდგენებს იმის შესახებ, თუ როგორ არის მოწყობილი ძალაუფლება და როგორია (და უნდა იყოს) ორგანიზებული მათ გარშემო სამყარო. ეს აღქმები, თავის მხრივ, აყალიბებს და განსაზღვრავს ინდივიდების წარმოდგენებს, თუ ვინ არიან ისინი და როგორ უნდა მოიქცნენ იმ პოლიტიკურ სისტემაში, სადაც ისინი ცხოვრობენ“ (Glasberg & Shannon, 2011, p. 56).

იმისთვის, რომ განვსაზღვროთ საქართველოში 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში ახალგაზრდობის პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესში პოლიტიკური პარტიების როლი, კვლევაში დავისახეთ ამოცანები, კერძოდ:

1. პოლიტიკურ პარტიებში ახალგაზრდული ორგანიზაციების აქტივობების იდენტიფიცირება წინასაარჩევნო და არჩევნების შემდგომ პერიოდში, წარმატებული აქტივობები;
2. ახალგაზრდების მიერ პარტიების ახალგაზრდული ორგანიზაციის დატოვების მიზეზები (დემოტივატორები);
3. დეპუტატების ბიოგრაფიებში პარტიების ახალგაზრდულ ორგანიზაციებში ჩართულობის გამოცდილება;
4. ცხრა საპარლამენტო მანდატის მქონე პარტიების საარჩევნო სიებში ახალგაზრდული სეგმენტის (25-30 წლამდე) წილი.

ახალგაზრდებისთვის პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობა და მათი შესაბამისი პოლიტიკური სოციალიზაცია მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ პოლიტიკა განსაზღვრავს მათ მომავალს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კი პოლიტიკური პარტიების აქტივობებში ჩართულობაა, რადგანაც შემდგომ, სწორედ ეს პოლიტიკური პარტიები გარდაიქმნებიან ხელისუფლებად. ახალგაზრდობის ხმა

პოლიტიკაში ნიშნავს საუბარს, იმ უამრავ გამოწვევაზე, რომლის წინაშეც დღეს ახალგაზრდობა დგას და რის გამოც უმეტეს მათგანს ქვეყნის დატოვება უწევს. როდესაც ადამიანი მცირე ასაკიდან ერთვება პოლიტიკაში, მას უფრო მეტი შანსი აქვს ისწავლოს, აითვისოს, განვითარდეს და შეიქმნას პოლიტიკური „ბექგრაუნდი“ და ცნობიერება. ახალგაზრდა თაობა საზოგადოების ის ნაწილია, რომელიც გამოირჩევა თავისი მიზანდასახულობით, ენერგიულობითა და ცვლილებებისკენ სწრაფვით. ახალგაზრდების სურვილი ჩაერთონ პოლიტიკაში ნიშნავს, თავიანთი მცირედი წვლილი შეიტანონ ქვეყნის მშენებლობის პროცესში. ჩვენი ვარაუდით, საქართველოში პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდული ორგანიზაციებში ჩართული ახალგაზრდები გარკვეულწილად, ასრულებენ ახალგაზრდობის პოლიტიკური სოციალიზაციის აგენტების როლს და ***რაც უფრო მეტად ერთვება ახალგაზრდობა პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდულ ორგანიზაციებში, მით უფრო მაღალია ახალგაზრდების პოლიტიკური სოციალიზაცია.*** თვისებრივი კვლევის, მიზნობრივი შერჩევის ფარგლებში ჩატარდა 17 სიღრმისეული ინტერვიუ პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან, მასში ჩართულ ახალგაზრდებთან, ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან, ექსპერტებსა და პოლიტიკოსებთან, სწორედ ისინი წარმოადგენენ ნაშრომში კვლევის ობიექტებს.

ლიტერატურის მიმოხილვა

პოლიტიკის ინსტიტუტის მკვლევარი თეონა ტურიაშვილი გვთავაზობს ანგარიშს, რომელიც გვეხმარება გავიაზროთ ახალგაზრდების პოლიტიკური აქტიურობა საქართველოში და პოლიტიკური ჩართულობის მთავარი მექანიზმები და მათი ინფორმირებულობის დონე. ნაშრომის დასწყისში, ავტორი ყურადღებას ამახვილებს, რომ საქართველოში „ახალგაზრდები მოკლებულნი არიან სიღრმისეულ ინფორმაციას პოლიტიკური პროცესების შესახებ“

(ტურიაშვილი თ. , 2016, გვ. 2) და კავკასიის კვლევითი რესურსების კვლევების მონაცემებზე დაყრდნობით, მოჰყავს მონაცემები ახალგაზრდების პოლიტიკური პროცესების შესახებ დაბალ ინფორმირებულობაზე. აგრეთვე, მკვლევარი მრავალფეროვან ფაქტებზე დაყრდნობით, მიმოიხილავს ახალგაზრდების პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობის მნიშვნელობას, მოჰყავს სხვადასხვა სტატისტიკა, რითიც ცალსახად ასაბუთებს ქვეყანაში ახალგაზრდების პოლიტიკური მონაწილეობის დაბალ დონეს.[2] ახალგაზრდების მთავარი გამოწვევების წარმოჩენით, ავტორი ცდილობს დაგვანახოს ის მიზეზები, რაც გავლენას ახდენს დაბალ პოლიტიკურ აქტივობაზე.[3] ანგარიშის მიხედვით, პოლიტიკური პარტიების ახალგზრდულ ფრთას იშვიათად აქვს პოლიტიკური ელიტის წევრთა რეკრუტირებისა და პოლიტიკური კარიერისთვის მომზადების ფუნქცია. ვფიქრობთ, ჩვენი კვლევა ამ ვარაუდის განმტკიცებას ხელს შეუწყობს. ბოლოს, პოლიტიკის ინსტიტუტის მკვლევარი აჯამებს ანგარიშის ძირითად მესიჯებს და გვთავაზობს საკმაოდ პროდუქტიულ რეკომენდაციებს, რომლებიც ემსახურება ახალგაზრდების პოლიტიკური განათლებისა და პოლიტიკური ინტერესის გაზრდას. ზემოთ აღნიშნული პროცესების ანალიზზე დაყრდნობით, ავტორი გვთავაზობს ლოგიკურ დასკვნას, რომ „ახალგაზრდებში პოლიტიკური ნიჰილიზმი სჭარბობს“[4]. მნიშვნელოვანია ავტორის დასკვნა ჩვენს საკვლევ თემასთან დაკავშირებით, რადგანაც, როგორც ნაშრომშია აღნიშნული, პარტიებისთვის ახალგაზრდები საარჩევნო კამპანიების დამატებითი რესურსია, პარტიებში გაუმჭვირვალე რეკრუტირების სისტემაა, რაც, საბოლოოდ, აუცხოებს ახალგაზრდებს პოლიტიკურ

[2] იხ. იქვე. გვ. 3.

[3] როგორც ავტორი აღნიშნავს, CRRC-ის გამოკითხვის მიხედვითაც, ახალგაზრდებისთვის მთავარ სამ პრობლემას დასაქმება, სიღარიბე და განათლება წარმოადგენს.

[4] იხ. იქვე, ტურიაშვილი, გვ. 6.

პარტიებთან და შემდგომ უკვე განაპირობებს ახალგაზრდების უნდობლობას პოლიტიკური სუბიექტების მიმართ.

ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტის (NIMD) საქართველოს საკანონმდებლო რეფორმის დახმარების პროგრამაში წარმოდგენილია ნაშრომი, რომლის შემადგენელი ერთ-ერთი დოკუმენტია დავით ჯიჯელავას კვლევა სახელწოდებით „ახალგაზრდობის განვითარება ქართულ პოლიტიკურ პარტიებში: პარტიის რესურსების გამოყენების გზების ძიება“ (Jijelava, 2012). აღნიშნული კვლევა ორიენტირებულია პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდულ ორგანიზაციებზე. ავტორი ხაზს უსვამს ახალგაზრდულ ფრთას, როგორც მნიშვნელოვან ადამიანურ რესურსს ნებისმიერი პოლიტიკური პარტიისთვის. კვლევა ცხადჰყოფს, რომ ახალგაზრდები სკეპტიკურად არიან განწყობილნი პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდული ფრთიდან დაიწყონ და განავითარონ თავიანთი კარიერა, რადგანაც როგორც მკვლევარი აღნიშნავს, ასეთი „ბექგრაუნდის“ პოლიტკოსები, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში მცირეა, ამიტომ ლოგიკურია, რომ ახალგაზრდები სხვა გზებით ეცდებიან პოლიტიკური კარიერის აწყობას, მაგალითად, ბიზნესიდან ან არასამთავრობო ორგანიზაციიდან და სხვა. აქვე, მკვლევარი აღნიშნავს იმ მიზეზებს, რომლებიც ახალგაზრდებს უბიძგებს ჩამოშორდნენ პოლიტიკასა და პარტიულ აქტივობებს. პოლიტიკურ მონაწილეობაზე საუბრისას, დავით ჯიჯელავა კვლევაში, სტატისტიკაზე დაყრდნობით, აანალიზებს ქართული ელექტორატის არჩევნებში მონაწილეობის დინამიკის ცვლილებას 1992-2008 წლებში.[5] კვლევაში, ასევე, გაანალიზებულია საქართველოს

[5] რომელიც 2004 წელს 90%-მდე ადის (ვარდების რევოლუციიდან გამომდინარე), ხოლო 2008 წელს ისევ იკლებს (60%-მდე). მკვლევარი მწუხარებას გამოთქვამს, რომ ელექტორატის აქტივობის ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით მონაცემები არ არსებობს. თუმცა მოჰყავს კავკასიის კვლევითი ცენტრის კვლევის მონაცემების გრაფიკი. ამიერ-

ახალგაზრდული პოლიტიკური და სამოქალაქო ორგანიზაციები, ავტორის ისტორიული რაკურსი ფუნდამენტურად ეხმიანება ახალგაზრდობის კვლევას.[6] აღსანიშნავია ისიც, რომ მკვლევარმა თავის ნაშრომში გააანალიზა 137 იმდროინდელი საქართველოს დეპუტატის პარტიული წარმომავლობა, რომელთაგანაც მხოლოდ 27%-ს აღმოაჩნდა პარტიული წარმომავლობა ანუ პარტიაში მუშაობის ან აქტივობის რაიმე სახის გამოცდილება. შემდგომ კი ამ მონაცემებს ადარებს მყარი დემოკრატიის მქონე ქვეყნებს, მაგალითად, ბელგიას, სადაც ათჯერ უფრო მეტია პარტიული აქტივობის გამოცდილება პოლიტიკოსებისა. საინტერესოა მკვლევარის აღნიშნულ მონაცემებზე დაფუძნებული მსჯელობა, რომლის მიხედვითაც, პოლიტიკოსების წარმომავლობა უმეტესწილად არ უკავშირდება პოლიტიკურ პარტიებს, ანუ ისინი წარმოადგენენ პოლიტიკურ „აუტსაიდერებს“ და გამომდინარე იქიდან, რომ პარტიები იდეოლოგიურად იყოფიან, შესაბამისად პოლიტიკოსების შეხედულებებიც განსხვავებულია.

კვლევის შემდგომი ნაწილი უკავშირდება ახალგაზრდების ჩართულობას პოლიტიკური პარტიების საქმიანობაში. თავდაპირველად, საუბარია ახალგაზრდული ორგანიზაციების ფუნქციებზე, ახალგაზრდების როლსა და მათზე, როგორც რესურსზე პოლიტიკურ პარტიებში. აქ ავტორი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს პარტიების იდეოლოგიური ბაზისის არ ქონას, შესაბამისად, აკეთებს ადეკ-

კავკასიის ქვეყნების მიხედვით, სადაც საქართველოს ახალგაზრდების (25 წლის და ქვემოთ) დაახლოებოთ 50% იღებდა არჩევნებში მონაწილეობას.

[6] სსრკ-ში არსებულ ორგანიზაციებს, სადაც მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია იყვნენ ჩართულნი, სახელად „გორგასლიანი“, ასევე, 1978 წლიდან არსებულ სტუდენტურ დისიდენტურ მოძრაობებზე. შემდგომ უკვე „კმარა“ 2001-2002 წლებში, თუმცა ავტორის ხედვით, „კმარას“ არ შეუსრულებია ფუნდამენტური როლი რევოლუციურ ცვლილებებში.

ვატურ დასკვნას: პოლიტიკურ პარტიების მხრიდან ახალგაზრდეების იდეოლოგიური მიზიდვის მცდელობა, მკვლევარის ხედვით, უბრალოდ მოჩვენებითია. მსხვილი პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლებთან ჩაწერილი ინტერვიუები, რომლითაც მკვლევარი ერთგვარ პროფილს ამზადებს ახალგაზრდა აქტივისტებისა, საინტერესოდ აღწერს იმ მახასიათებლებს, სტატუსს, განსხვავებებსა თუ მსგავსებებს, რაც ამ ახალგაზრდებს გააჩნათ.[7] ამ სახის მიგნებები, რეალური სურათის ჩაღრმავებულ გაანალიზებაში, ვფიქრობთ, საკმაოდ პროდუქტიული დასკვნების საშუალებას იძლევა.

„ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში პოლიტიკური მონაწილეობისა და სამოქალაქო ჩართულობის გამოწვევები და რეალობები“ (Podolian, Ekman, & Gherghina, 2016) აღნიშნული სათაურით მკვლევარები წარმოგვიდგენენ მოქალაქეთა პოლიტიკაში ჩართულობის სხვადასხვა გზებს, სტატიის შესავალში ამომწურავადაა დასაბუთებული საკითხის აქტუალურობა, რაც უკავშირდება ბოლო ათწლეულში განვითარებულ მოვლენებს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. სტატიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღირსებაა წარმოდგენილი მრავალფეროვანი ლიტერატურა, რომელიც მკვეთრად მეცნიერულს ხდის მას. სტატია უკავშირდება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის პოლიტიკური მონაწილეობის გამოწვევებს, ავტორები სამეცნიერო ლიტერატურის ფართო გაანალიზებით, წარმოგვიდგენენ იმ გამოწვევებს, რომლებიც შეინიშნება, ამ მიმართულებით. ადარებენ დასავლეთ ევროპის დემოკრატიული ქვეყნებში არსებულ პოლიტიკური მონაწლეობის სიტუაციას, აღნიშნული კონტრასტით კი, მეტად ცალსახას ხდიან საკითხის პრობლემატურობას.

[7] კვლევაში პროფესიების მიხედვით, პარტიულ აქტივობებში იურისტები უფრო ჭარბობენ.

„ახალგაზრდების პოლიტიკური მონაწილეობა პოლიტიკურ პარტიებში: მაკრო, მეზო და მიკრო დონის მონაწილეობის გავლენის ფაქტორების ლიტერატურის მიმოხილვა“ - მოცემულ კვლევაში რეჯინა ვებერი ცდილობს ახსნას ის გამოწვევები, რომლებიც თანამედროვე მსოფლიოში ახალგაზრდების წინაშე დგას. ასევე, სხვადასხვა მრავალფეროვანი ლიტერატურით და დასავლეთ ევროპის ქვეყნების მაგალითზე, საუბრობს ახალგაზრდების პოლიტიკურ პარტიებში ჩაურთველობის მიზეზებზე. ავტორის ვარაუდი ასახავს ევროპის პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდული ორგანიზაციების წევრების პერსპექტივებს, რომელთა ჩართულობა შემდგომ მათი პოლიტიკური კარიერის წინაპირობა ხდება (Weber, 2017, pp. 27:379–396). ამ ფონზე, დასავლეთის ქვეყნების პარტიების ახალგაზრდული ორგანიზაციების მნიშვნელობის მიმოხილვა დაგვეხმარება, გავეცნოთ თანამედროვე დემოკრატიული ქვეყნების პოლიტიკურ კონიუნქტურას ახალგაზრდებთან მიმართებაში, ეს კი დაგვანახებს კონტრასტს საქართველოსა და სხვა დასავლურ დემოკრატიულ ქვეყნებს შორის.

რ. ვებერი ინდივიდუალიზაციის ცნების დეფინიციით ცდილობს ახსნას ის ცვლილებები ახალგაზრდა თაობის დამოკიდებულებებში, რომლებიც გაჩნდა თანამედროვე სამყაროში და რომელიც მდგომარეობს ინდივიდუალიზმის პოპულარიზაციაში. ნაშრომის ეს მონაკვეთი კარგად ხსნის იმ ცვილებების მიზეზს, რომელმაც შეამცირა პარტიების წევრობა. კვლევის შემდეგ ქვეთავში განხილულია ცვლილებების ძირითადი ტენდენციები და მათი გავლენა ახალგაზრდობის პარტიულ წევრობის კონკრეტულად სამ ასპექტზე: 1) წევრობის შემცირება, 2) პარტიული სტრუქტურების პროფესიონალიზაცია და 3) ახალგაზრდული ორგანიზაციების როლი.

„პოლიტიკურ პარტიებში ახალგაზრდული ორგანიზაციები: პოლიტიკური დაკომპლექტება და პარტიული სისტემების ტრანსფორმაცია“ – (Marc Hooghe and Dietlind Stolle) - მოცემულ სტატია-

ში ძირითადი ყურადღება ეთმობა ახალგაზრდობის პოლიტიკურ მონაწილეობის შემცირებას, რაც ავტორთა აზრით, განპირობებულია ინტერესის გაქრობით პოლიტიკური და საზოგადოებრივი საქმიანობის მიმართ. სტატიის მიხედვით, ეს ტენდენცია განპირობებულია ტრადიციული სამობილიზაციო არხების შემცირებით. სტატიაში დასმულია საკმაოდ საინტერესო კითხვა - „შეიძლება ახალგაზრდები ჯერ კიდევ არიან დაინტერესებული პოლიტიკურ პარტიებში აქტივობებით, მაგრამ თავად პარტიები არიან დაინტერესებულნი ახალგაზრდებით?“ (Stolle & Hooghe, 2005, p. 45). შემდგომ მსჯელობაში, ავტორებს მოჰყავთ ინფორმაციული სტატისტიკა გერმანიის, ბელგიისა და სხვა ქვეყნების მაგალითზე, თუ რამდენად შემცირდა ახალგაზრდების აქტიურობა. სტატიის ავტორები მიგვანიშნებენ, რამდენად მნიშვნელოვანია ახალგაზრდული ორგანიზაციების კვლევა.

ახალგაზრდობის პოლიტიკური ნიჰილიზმი

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროის კვლევების მიხედვით, ახალგაზრდების უმეტესობა მონაწილეობს არჩევნებში, მათგან პოლიტიკურ პროცესებში ძალიან მცირე რაოდენობა ერთვება. ახალგაზრდობის განსაკუთრებით მცირე რაოდენობა არის ჩართული პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდულ ორგანიზაციებში. „ბინძური“ პოლიტიკა, საბოლოოდ, იწვევს ახალგაზრდების ნიჰილიზმს და უარს ამბობენ პოლიტიკურ აქტიურობაზე. ისინი მხოლოდ მაშინ აქტიურდებიან, როცა ქვეყნის ფუნდამენტურ ღირებულებებს ეხება საქმე, მათ შორის საგარეო კურსს. *„ბაზარზე ახალგაზრდების მოთხოვნა დიდია, მიწოდება კი ნაკლები.“*[8]

[8] სიღრმისეული ინტერვიუ მოძრაობა „შეცვალეს“ ახალგაზრდა წევრთან. 15 მაისი, 2021.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველში არსებული სხვადასხვა გამოწვევები კიდევ უფრო ზრდის ახალგაზრდების ნიჰილიზმს პოლიტიკისადმი. ჩაკეტილი პოლიტიკური სივრცე ახალგაზრდების დიდ ნაწილს აიძულებს სხვა ქვეყანაში წავიდეს და იქ დაიმკვიდროს თავი. დღეისათვის ახალგაზრდებს პოლიტიკურ პროცესებში ნაკლებად აქვთ შესაძლებლობა თვითრეალიზებისა და ინიციატივების გაჟღერების, ამ მხრივ, განსაკუთრებით რთული სიტუაციაა პოლიტიკურ პარტიებში. ჩვენს მიერ გამოკითხული რესპოდენტები ადასტურებენ, რომ მათ გარშემო ახალგაზრდების ძალიან მცირე ნაწილი ინტერესდება პოლიტიკით, რადგანაც ახალგაზრდებს რთულად მიაჩნიათ პარტიაში შესვლა და თავის დამკვიდრება:

„ძალიან ბევრჯერ გვიცრუვდება ხოლმე იმედი... შრომობ, წვალობ, იცავ პარტიას და აძლიერებ, ბოლოს კი სიებში აღმოჩნდებიან პარტიების დამფინანსებლები. ამიტომ ახალგაზრდებს ეკარგებათ სურვილი ჩართულობის.“[9]

ამ ყველაფრის მიზეზი, ზოგჯერ ძველი თაობის პოლიტიკოსების ეგოისტური დამოკიდებულებაა ახალგაზრდა თაობის მიმართ:

„ხშირ შემთხვევაში, როგორც ხდება ხოლმე სამწუხაროდ, საქართველოში ვიღაცა თუ რაღაცა ადგილს რომ დაიკავებს შემდგომ იმ ადგილის დათმობა ძალიან უჭირს და ახალი სისხლის შეშვებაზე კი არ ფიქრობს, თავისი თავის გრძელ ვადაში იქ ყოფნაზე ფიქრობს, რაც პრობლემაა და, რა თქმა უნდა, ახალგაზრდების განვითარებას უშლის ხელს.“[10]

---

[9] სიღრმისეული ინტერვიუ ლეიბორისტული პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრთან. 25 მაისი, 2021.

[10] სიღრმისეული ინტერვიუ „ლელოს“ ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელთან. 11 მაისი, 2021.

გამოკითხული ექსპერტების აზრით, ახალგაზრდების პოლიტიკისადმი ინდეფერენტული დამოკიდებულების კიდევ ერთი მიზეზი, თავად მოქმედი პოლიტიკოსები არიან. დღევანდელი ქართული პოლიტიკური კლასი არ ენდობა ან ნაკლებად ენდობა მათ პარტიულ სტრუქტურებში ჩართულ ახალგაზრდებს. ამის მიზეზი სხვადასხვაა. ხშირად, საზოგადოებაში არსებობს ასაკთან დაკავშირებული სტერეოტიპები, ამიტომ პოლიტიკურ სუბიექტებში ამგვარი დამოკიდებულება ახალგაზრდებისადმი უნდობლობას კიდევ უფრო ამყარებს. კვლევის მიმდინარეობის პროცესში გამოიკვეთა ახალგაზრდების პოლიტიკური ნიჰილიზმის რამოდენიმე ფაქტორი, რომელთაგანაც პოლიტიკური პარტიების პერსონიფიკაცია ერთ-ერთი ყველაზე ხშირია.

„პოლიტიკური პარტიები დაფუძნებულია კონკრეტულ სახეზე, ლიდერზე, ერთიდან სამ ადამიანამდე. „ლიდერშიფის“ აწყობა არის ვერტიკალური, ამიტომ ახალგაზრდების განვითარების კეთილი ნება არ არსებობს პარტიებში. პარტიებს შიში აქვთ, რომ ახალგაზრდები იმედებს გაუცრუებენ.“[11]

სწორედ, ამგვარი უნდობლობის შემყურე, ახალგაზრდებში კიდევ უფრო მძაფრდება პოლიტიკური ნიჰილიზმი, თუმცა მხოლოდ პარტიებს ვერ დავაბრალებთ ამას. ჩვენთან ინტერვიუებში, ექსპერტები ხშირად აკეთებდნენ აქცენტებს ახალგაზრდებისადმი ამომრჩევლის მიდგომის პრობლემაზე, რადგანაც მათთვის „სახეები უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე იდეოლოგიები“[12] „ბელადებისა“ და „მესიის“ მოთხოვნა საქართველოს ბოლო 30 წლის მანძილზე განსაკუთრებით შეინიშნებოდა, საზოგადოების უმრავლესობა ლიდერებს უფრო აძლევს ხმას, ვიდრე პარტიის სამომავლო ხედვებსა თუ ჯანსაღ კომუნიკაციას. ამომრჩევლის ამგვარი დამოკიდებულები-

[11] სიღრმისეული ინტერვიუ ექსპერტ-ანალიტიკოსთან. 7 ივნისი, 2021.

[12] სიღრმისეული ინტერვიუ ექსპერტ-ანალიტიკოსთან, 7 ივნისი, 2021.

დან გამომდინარე, პარტიებიც იძულებული არიან თავიანთი საარ-ჩევნო კამპანია კონკრეტულ ლიდერებზე დააფუძნონ, როგორც მოქ-მედი პოლიტიკოსები გვეუბნებიან, სხვანაირად პარტიები უბრა-ლოდ დაკარგავენ ამომრჩეველს. პარტიების პერსონიფიცირებულ დამოკიდებულებას მოწმობს ის ფაქტი, რომ 2020 წლის საპარლა-მენტო არჩევნების პერიოდში დარეგისტრირებული პარტიების ნა-წილი, განსაკუთრებით ახლად დაარსებული პარტიები, სახელწო-დებაში თავიანთი ლიდერის სახელსა და გვარს ახსენებდნენ, მაგა-ლითად, „ლელო - მამუკა ხაზარაძე“, „მოქალაქეები - ალეკო ელის-აშვილი“, „ირაკლი ოქრუაშვილი - გამარჯვებული საქართველო“ და სხვა.[13]. აღნიშნულ ტენდენციას თავად მოქმედი დეპუტატებიც ად-ასტურებენ:

„ჩვენთან მაინც ლიდერებზე დაფუძნებული პოლიტიკური პარტიებია, სადაც ახალი თაობის ლიდერები და ახალი თაობის პო-ლიტიკოსები რთულად იკიდებენ ფეხს...“[14]

კვლევის პროცესში გამოიკვეთა კიდევ ერთი მიზეზი, რის გა-მოც პოლიტიკური სუბიექტები ნაკლებად ინტერესდებიან ახალ-გაზრდა სეგმენტით. გამომდინარე ახალგაზრდების პოლიტიკური ნიჰილიზმიდან, საქართველოში პარტიების ინტერესი არჩევნებზე რაც შეიძლება მაღალი მხარდაჭერის მოპოვებაა. ამიტომ მათთვის ახლგაზრდობა არ წარმოადგენს სამიზნე სეგმენტს, ისინი ფიქრო-ბენ, რომ ახალგაზრდობა არჩევნებზე არ დადის (თუმცა ბოლო წლეების კვლევების მიხედვით განსხვავებული სიტუაციაა), ამიტ-ომ პარტიები უფრო მეტ აქცენტს უფროს თაობაზე აკეთებენ.

[13] cesko.ge, რეგისტრირებული პარტიული სიები, 2020

[14] სიღრმისეული ინტერვიუ ერთ-ერთ მოქმედ ოპოზიციონერ დეპუტატთან. 12 მაისი, 2021

ახალგაზრდული ორგანიზაციების აქტივობები წინასაარჩევნო პერიოდში

იმისთვის, რომ გავიაზროთ ახალგაზრდების როლი პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდულ ორგანიზაციებსა და ზოგადად პოლიტიკურ პარტიებში, კვლევის შედეგად იმ აქტივობების იდენტიფიცირება მოვახდინეთ, რომლებსაც პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდული ორგანიზაციები ახორციელებენ. კვლევის ფარგლებში ჩვენ შევისწავლეთ კონკრეტულად 9 პოლიტიკური სუბიექტის ახალგაზრდული ფრთის აქტივობები 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინა და შემდგომ პერიოდში.

ახალგაზრდების აქტივობა პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პერიოდში მნიშვნელოვნად განსხვავდება არასაარჩევნო პერიოდში მიმდინარე პროცესებისგან. არჩევნები ახალგაზრდებისთვის ერთგვარი ციკლური აქტივობის განმსაზღვრელი პროცესია. მეტიც, პოლიტიკური პარტიები, ძირითადად, საარჩევნო კამპანიებში იზიდავენ ახალგაზრდებს, როგორც „სეზონურ“ სამუშაოებზე, 2-3 თვით.“[15] პოლიტიკოსების ხედვით, საარჩევნო პერიოდში, უშუალოდ არჩევნების დღეს, ახალგაზრდა უფრო ეფექტური და პრინციპულია, რადგან ისინი ვერ იტანენ უსამართლობას და ბევრად უკეთ იცავენ ხმებს.

2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში პოლიტიკური პარტიების მიერ მოხდა ახალგაზრდების მობილიზება. ზოგიერთ პოლიტიკურ პარტიას შედარებით უფრო აქტიურად ჰყავდა ახალგაზრდები ჩართული საარჩევნო კამპანიაში, ექსპერტების შეფასებით, ასეთი ძირითადად ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები იყვნენ. მაგალითად, „ევროპული საქართველო,“ ლეიბორისტები, „ლელო საქართველოსთვის“ და „სტრატეგია აღმაშენებელი“. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პარტიის წარმომადგენლები

[15] სიღრისეული ინტერვიუ ექსპერტ - ანალიტიკოსთან. 7 ივნისი, 2021.

აქტიურად საუბრობენ საარჩევნო კამპანიებში ახალგაზრდების ჩართულობაზე და ადასტურებენ მათ უმნიშვნელოვანეს როლს.

თითქმის ყველა რესპოდენტი ადასტურებს, რომ საარჩევნო პერიოდში რადიკალურად განსხვავდება ახალგაზრდების ჩართულობის დონე არასაარჩევნო პერიოდისგან. მათი უმრავლესობა საუბრობს ასევე, ახალგაზრდების მიერ შესრულებულ „შავ“ სამუშაოებზე წინასაარჩევნო პერიოდში, რაშიც იგულისხმება, მაგალითად, პლაკატების გაკვრა, სააგიტაციო მასალის გავრცელება, აქციებსა და მაჟორიტარების კამპანიებში დროშებით სირბილი და სხვა. ბუნებრივია, კონკრეტული პარტიების წარმომადგენლები თავიანთ პარტიას გამოარჩევენ ამ კუთხით და ზოგად ფონს აღნიშნავენ, რომ სამწუხაროდ ეს ასეა, მაგრამ, ფაქტია, ადასტურებენ ახალგაზრდების მიერ განხორციელებულ ამგვარ აქტივობებს.

წინასაარჩევნო პერიოდში ახალგაზრდების ჩართულობა მაქსიმალურად დიდია. ახალგაზრდები დატვირთულნი არიან საარჩევნო კამპანიის თითქმის ყველა რთული სამუშაოთი. ინტერვიუებში ახალგაზრდები ყვებიან თავიანთი აქტივობების შესახებ პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდულ ორგანიზაციებში. ძირითადად, ახალგაზრდობა ამ დროს დაკავებულია სააგიტაციო საქმიანობით, კარდაკარ სიარულით, ფლაერების დარიგებით, მხარდამჭერთა ბლანკების შევსებით. საკმაოდ აქტუალურია, ასევე, ახალგაზრდების მაჟორიტარობის კანდიდატთან ერთად სიარული კარდაკარსა თუ სხვა სახის სააგიტაციო შეხვედრებზე. რამდენიმე პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრებმა დაასახელეს უფრო მეტი ჩართულობა ახალგაზრდებისა საარჩევნო პერიოდში, მაგალითად, ლეიბორისტების, „ლელოს“, აქ მოიაზრება ისეთი აქტივობები, როგორიცაა საარჩევნო დამკვირვებლების გადამზადება-დატრენინგება. ლეიბორისტების ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლებმა დაადასტურეს თავიანთი ჩართულობა პარტიის საარჩევნო პროგრამის გარკვეული მიმართულებების შემუშავებაში, რაც უპრეცენდენ-

ტოა და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში სხვა პარტიებში იშვიათად, ან თითქმის არ ხდებოდა. საინტერესოა, რომ შედარებით მცირერიცხოვან და ახლად დაარსებულ პარტიებში 2020 წელს უფრო მეტად ხდებოდა ახალგაზრდების მობილიზება საპასუხისმგებლო პოზიციებზე, მაგალითად, შტაბის ხელმძღვანელად, საარჩევნო პროპორციული სიების მოწინავე პოზიციებზე (25-29 წლამდე ასაკის ახალგაზრდები - ლეიბორისტები, „ლელო“) ვიდრე, მაგალითად, სახელისუფლებო და მსხვილ ოპოზიციურ პარტიებში. სახელისუფლებო პარტიის ერთ-ერთი რაიონის ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელი გვიყვება იმ აქტივობებს, რომლებსაც 2020 წლის წინასაარჩევნო პერიოდში ახორციელებდნენ. ეს აქტივობები, ძირითადად, ორი სახის იყო: ცენტრიდან დაგეგმილი და რეგიონული, რომლებიც, ძირითადად მოიცავდა სპორტულ, საგანმანათლებლო გასვლით ღონისძიებებს, კანდიდატებთან შეხვედრებს, ტურიზმის და კულტურის მიმართულებით სხვადასხვა პროექტებს, კულტურულ გამოფენებს, ქალაქის ან რაიონის განვითარებისთვის დაგეგმილ აქტივობებს. მართლაც მრავაფეროვანი და მრავალრიცხოვანი ღონისძიებებია, თუმცა აქვე ახალგაზრდების დიდი ნაწილი მწუხარებას გამოთქვამს, რომ პოლიტიკური პარტიების მიერ ახალგაზრდული ორგანიზაციების ამგვარი გააქტიურება საარჩევნო პერიოდში სხვა მიზნებს ეფუძნება (ამ თემაზე დეტალურად ქვემოთ ვისაუბრებთ).

ახალგაზრდული ორგანიზაციების აქტივობა არჩევნების შემდგომ პერიოდში

განსხვავებით საარჩევნო კამპანიის პერიოდისა, არჩევნების შემდგომ პერიოდში ახალგაზრდული ორგანიზაციების აქტიურობა მცირდება. თუმცა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები სპეციფიკურობით გამოირჩეოდა. არჩევნების შემდეგ პოლიტიკურ პარტიებს მაინც დასჭირდათ გარკვეული მასების მობილიზება, განსაკუთრე-

ბით ახალგაზრდებისა, რადგანაც ბოიკოტის პროცესში უამრავი აქ-ცია პერფორმანსები ჩატარდა, რომლებშიც ახალგაზრდების ხმა პო-ლიტიკური პარტიებისთვის მნიშვნელოვანი იყო.

ზოგადად, პოლიტიკური პარტიებისთვის არჩევნების შემ-დგომ პროცესებში ყველაზე დიდი გამოწვევა ახალგაზრდული ორ-განიზაციის მობილიზება და შენარჩუნებაა, რადგანაც სააგიტაციო საქმიანობები აღარაა. თანაც, პოლიტიკური პარტიების მატერიალ-ური რესურსები ამოწურვადია. პოსტსაარჩევნო პერიოდში კი მათ უბრალოდ აღარ ჰყოფნით ფინანსები მთლიანი გუნდის შესანარჩუ-ნებლად. ეს კი ნიშნავს იმას, რომ გუნდის გარკვეული ნაწილის მო-ტივაცია ღირებულებით და იდეოლოგიურ ხასიათს არ ატარებს. ექსპერტები და პოლიტიკოსები აქტიურად საუბრობენ პარტიების იდეოლოგიური ხედვების ნაკლებობაზე, რაც იწვევს, სწორედ, ად-ამიანთა პარტიებიდან გადინებას.

2020 წლის არჩევნების შემდეგ ახალგაზრდული ორგანიზაცი-ების ძირითადი საქმიანობა სხვადასხვა საპროტესტო აქციებში მო-ნაწილეობა იყო შესაბამისი ატრიბუტიკით. ამ არჩევნების შემდგო-მი პერიოდის თავისებურება მდგომარეობდა იმაში, რომ კორონა პანდემიის ფონზე მიმდინარეობდა, ამიტომ ახალგაზრდული ორ-განიზაციის წევრები აღნიშნავენ სწორედ ამ ვირუსისგან გამოწვე-ულ ხელისშემშლელ ფაქტორებს. თუმცა, ზოგიერთი პარტია აქტი-ურად შეუდგა ახალგაზრდების ჩართვას სხვადასხვა მიმართულე-ბით, მაგალითად, „სტრატეგა აღმაშენებელი“ ახორციელებდა პრო-ექტს „საპარლამენტო საქმიანობის მონიტორინგი“, რომელშიც არა მხოლოდ თავიანთი პარტიის ახალგაზრდებს, არამედ ყველა დაინ-ტერესებულ ახალგაზრდას რთავდნენ და ეძლეოდათ შესაძლებლო-ბა უკეთ ჩართულიყვნენ აქტიურ პოლიტიკურ პროცესებში, უკვე პარლამენტში.

ზოგიერთი ოპოზიციური პარტია არჩევნების შემდეგ აქტი-ურად იყო ჩართული სოციალურ საკითხებთან დაკავშირებულ საპ-

როტესტო გამოსვლებში, მაგალითად, ლეიბორისტული პარტია. ასევე, „ენმ“-სთან დაახლოებული საზოგადოებრივი მოძრაობების წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობდნენ საპროტესტო გამოსვლებში, განსაკუთრებით, არჩევნების შემდგომ პირველ ეტაპზე ბოიკოტის რეჟიმის განმავლობაში. რაც შეეხება პარტიების სტრუქტურებში განხორციელებულ სხვადასხვა აქტივობებს, რომლებშიც ახალგაზრდები იყვნენ ჩართულნი, ეს აქტივობები, ძირითადად, მოიაზრებდა სხვადასხავა ტრენინგებს, სემინარებს, ხდება ახალგაზრდების „მიბმა“ პარტიებში კონკრეტული თემატიკების წარმომადგენლებთან, ინტერესიდან გამომდინარე, რეგიონულ გასვლებს, მაგალითად, პოლიტიკური გაერთიანება „ლელოს“ ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელი გიორგი ოქროაშვილი გვიყვება მათ დაგეგმილ ტურს დასავლეთ საქართველოში ახალგაზრდების მონაწილეობით, სადაც გაეცნენ სხვადასხვა რეგიონულ გამოწვევებს. ამ მხრივ განსხვავებული სიტუაციაა სხვა პარტიებში, სადაც ახალგაზრდების მონდომების მიუხედავად, არასაარჩევნო პერიოდში პარტიების მხრიდან სხვადასხვა აქტივობის სურვილი საერთოდ არ არსებობს. *„არჩევნების შემდგომ ყველაფერი სრულდება, არანაირი აქტივობა, არანაირი შეხვედრა.“*[16]

პარტიების ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმატებული აქტივობები

კვლევის პროცესში გამოკითხული პარტიების ახალგაზრდული ორგანიზაციების წევრები გვიყვებიან პარტიაში ყოფნის პერიოდში თავიანთ გამოცდილებას. ძირითადად, მათი წარმატებული აქტივობები მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, როგორებიცაა საპროტესტო აქციები, პერფორმანსები, მაგალითად, „ევროპული საქართვე-

[16] სიღრმისეული ინტერვიუ პარტია „საქართველოსთვის“ ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრთან. 10 ივნისი, 2021.

ლოს“ ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრი იხსენებს სააგიტაციო პერიოდში მოსახლეობასთან ორიგინალურ კომუნიკაციას. პარტია „ლელოს“ ახალგაზრდა წევრი კი გამოარჩევს პოზნერის ვიზიტის დროს განხორციელებულ აქციას, რის შედეგადაც, ვლადიმერ პოზნერის საქართველოში სტუმრობა შეწყდა. აქცია-პერფორმანსს იხსენებს ასევე „პატრიოტთა ალიანსის“ ახალგაზრდული ფრთის ყოფილი ლიდერი, რის შედეგადაც მუზეუმში ეროვნული ექსპონატები დაზიანებისგან დაიცვეს. შედარებით უფრო მასშტაბური და მრავალფეროვანი პროექტების შესახებ ყვებიან მსხვილი პარტიის ახალგაზრდა წარმომადგენლები, მაგალითად, „ენმ“-სთან დაახლოებული სამოქალაქო მოძრაობა „შეცვალეს“ ერთ-ერთი ლიდერი იხსენებს პროექტს, რომელშიც 600-მდე ახალგაზრდა მონაწილეობდა, მათ ჩაუტარდათ ტრენინგები და სემინარები, რის შედეგადაც შეიძინეს ცოდნა და გამოიმუშავეს ლიდერული უნარ-ჩვევები. სახელისუფლებო პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის ყოფილი წევრი კი იხსენებს მრავალფეროვან აქტივობებს საარჩევნო კამპანიის პერიოდში, გასვლით ტურებს და გამოფენებს. „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ორგანიზაციის ყოფილი ლიდერი გამოარჩევს 2016 წელს სახელისუფლებო პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის გაწევრინებას საერთაშორისო ახალგაზრდულ ორგანიზაციაში, რომლის ფარგლებშიც მასშტაბური სამიტი ჩატარდა, თუმცა იმავე ახალგაზრდამ 2017 წელს დატოვა „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ფრთა, სწორედ, პროექტების შემცირების გამო და ოპოზიციური პარტიის წევრი გახდა.

პოლიტიკურ პარტიებში ახალგაზრდული ორგანიზაციების არსებობის მიზანი (პოლიტიკური კარიერის განვითარება?)

პოლიტიკურ პარტიებში სხვადასხვა აქტივობები კონკრეტულ მიზნებს ემსახურება. ახალგაზრდული ორგანიზაცია პარტიებისთვის ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენია, განსაკუთრებით საარჩევნო კამპანიის პერიოდში. პარტიების წარმომადგენლებთან და, ასევე, დარგის ექსპერტებთან საუბრისას დასახელდა პარტიებისთვის ახალგაზრდული ორგანიზაციების საჭიროების უამრავი მიზეზი. როგორც თავად ახალგაზრდები აღნიშნავენ, *„ახალგაზრდული ორგანიზაციები პარტიებისთვის სისხლის გადასხმისა და ოჯახისთვის ბავშვის ყოლის ტოლფასია“*[17]

პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიური ხედვების ნაკლებობა დიდწილად აისახება ახალგაზრდებისადმი პოლიტიკური პარტიების დამოკიდებულებაზე. გამოკითხული პოლიტიკოსები ასახელებენ პოლიტიკური სუბიექტების იდეოლოგიური ხედვების სიმცირეს, რაც განაპირობებს პარტიების ადამიანებისადმი შერჩევით დამოკიდებულებას *„დღევანდელი სიტუაცია ბიზნეს დაემსგავსა“*.[18] დღევანდელი პოლიტიკური კლასი ახალგაზრდა თაობაში ხედავს კონკურენტებს, გამომდინარე აქედან, მათი მონდომება, ბრძოლისუნარიანობა და ინდივიდუალიზმი, ხშირად, ნიველირებული რჩება. განსაკუთრებით, ეს ხდება პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდულ ორგანიზაციებში. ამ სისტემურ პრობლემას კი, პარტიული კარჩაკეტილობა ქმნის. ამ მიზეზით, ხშირად, ახალგაზრდული ორგანიზაციების წევრების ლიდერებთან კომუნიკაცია გართულებულია, ისინი არ მონაწილეობენ გადაწყვეტილებების მიღე-

[17] სიღრმისეული ინტერვიუ პარტია „ლელოს“ ახლგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელთან 11 მაისი, 2021.

[18] სიღრმისეული ინტერვიუ „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატთან 15 მაისი, 2021.

ბაში, ეს კი პოლიტიკურ პარტიებში ახალგაზრდა თაობისადმი არაჯანსაღ დამოკიდებულებას ქმნის.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ დღევანდელი მდგომარეობით, არც ერთ პოლიტიკურ სუბიექტს არ გააჩნია რეალური ახალგაზრდული პოლიტიკა გაწერილი გეგმის სახით, ამის მიზეზი, ერთის მხრივ, არის დაძაბული პოლიტიკური ფონი, ხოლო, მეორეს მხრივ, პარტიების კონცენტრაცია საარჩევნო შედეგის მოპოვებასა და ხმების დაცვის პროცესზე.

„ახალგაზრდების საკუთარი თავის რეალიზების ბოლო ადგილი დღეს საქართველოში შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტია, ჩემდა სამწუხაროდ, იმიტომ, რომ პოლიტიკური პარტიები ვერ აძლევენ იმ ინერგიას, ვერ ასხივებენ ისეთი ტიპის პერსპექტივას, რომ მათთან ახალგაზრდებს უნდოდეთ მჭიდრო, გულწრფელი, ხანგრძლივი ურთიერთობა“.[19]

პოლიტიკურ პარტიებთან კომუნიკაციის შედეგად დავადგინეთ, რომ პარტიების ფუნდამენტური მშენებლობის პროცესში ახალგაზრდული ორგანიზაციის და ზოგადად ახალგაზრდების ჩართულობა მწირია, გამოიკვეთა მხოლოდ რამდენიმე პარტია („ლელო“ და ლეიბორისტები), რომელთაც ახალგაზრდები ჩართეს ისეთ მნიშვნელოვან აქტივობაში, როგორიც პარტიის საარჩევნო პროგრამის დაწერაა და მათი საარჩევნო სიების მოწინავე პოზიციებზე ჩასმა. რაოდენობრივი ანალიზის საფუძველზე დავითვალეთ პროპორციულ და მაჟორიტარულ საარჩევნო სიებში 25-29 წლის ადამიანთა წილი. აღმოჩნდა, რომ ამ ასაკის მაჟორიტარობის კანდიდატები ცხრა პოლიტიკური პარტიის შემადგენლობაში, ჯამში ექვსი ახალგაზრდა ადამიანია, ანუ საერთო მაჟორიტართა რაოდენობის მხოლოდ 4 % (163 მაჟორიტარობის კანდიდატიდან), ხოლო პროპორ-

[19] სიღრმისეული ინტერვიუ ოპოზიციონერ მოქმედ დეპუტატთან. 12 მაისი, 2021.

ციული სიების ოცეულში, ამავე პოლიტიკურ სუბიექტებს, ჯამში ცხრა ახალგაზრდა ჰყავდათ, ანუ 6 % (180 კანდიდატიდან, იხ. ცხრილი №1). კიდევ ერთი ემპირიული მონაცემი, რომელიც ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა გახლავთ ის, რომ მე-10 მოწვევის (2020 წლის არჩევნების შემდგომ) 150 პარლამენტის დეპუტატს შორის ახალგაზრდების (18-25 წლების ასაკში) მხოლოდ 5 %-ს, ანუ 8 ადამიანს, აღმოაჩნდა პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდულ ორგანიზაციებში ჩართულობის გამოცდილება (იხ. ცხრილი №1). ეს ფაქტი კიდევ უფრო მეტად ამყარებს ჩვენს ვარაუდს, რომ ნაკლებად ხდება ახალგაზრდების პოლიტიკური კარიერის განვითარება პარტიების ახალგაზრდულ ფრთაში. შესაძლებელია ეს ადამიანები პოლიტიკურ პროცესებში სხვა მიმართულებით არიან ჩართულნი, თუმცა უშუალოდ საკანონმდებლო ორგანოში ახალგაზრდული ორგანიზაციებიდან წამოსული დეპუტატების რაოდენობა მცირეა.

ცხრილი №1:

პოლიტიკური პარტიები	**25-29 წწ პროპორციული სიები**	**25-29 წწ მაჟორიტარული სიები**
„ქართული ოცნება“	0	0
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	1	0
„ევროპული საქართველო“	0	0
„ლელო“	3	3
„სტრატეგია აღმაშენებელი“	1	0
„პატრიოტთა ალიანსი“	0	0
„გირჩი“	3	0

„მოქალაქეები“	0	0
ლეიბორისტები	3	3
სულ კანდიდატები	180	163
პროცენტული წილი:	6%	4%

დღეს ქართულ პოლიტიკურ პარტიებში არ აფასებენ ახალგაზრდებს, მათი ადამიანური რესურსი, ძირითადად, წინასაარჩევნოდ ხმების მოპოვებისკენაა მიმართული. რადგანაც *„პოლიტიკური პარტიებისთვის საარჩევნო კამპანიის ჩატარება ახალგაზრდებთან ერთად უფრო მიმზიდველია“.*[20] ახალგაზრდების როლი პოლიტიკურ პარტიებში, ძირითადად, ასისტენტური საქმიანობით, ე. წ. „მასობრიობის“ უზრუნველყოფით შემოიფარგლება. *„ორი თვით ადრე რომ იწყებ კომუნიკაციას, ეს ნიშნავს რომ ხმებისთვის აკეთებ, არასაარჩევნო პერიოდშიც მნიშვნელოვანია“.*[21] გარდა ამისა, საარჩევნო კამპანიის პერიოდში ახალგაზრდები არიან ერთგვარი დამრტყმელი ძალა, ისინი დაკავებული არიან ისეთი „შავი“ საქმეებით, როგორებიცაა ატრიბუტიკის დაჭერა აქციებზე, ყვირილი, ხმაურის შექმნა, - პლაკატები, ფლაერები, აგიტაცია, მხარდამჭერთა სიების მოგროვება პოლიტიკურ პარტიებში, სწორედ, ახალგაზრდები ახორციელებენ. გამოიკვეთა პარტიების მიერ ახალგაზრდების მანკიერი შენარჩუნების ტენდენციებიც, სხვადასხვა წახალისების მეთოდებით, მაგალითად, კარვებში დარჩენა ფულადი ანაზღაურების სანაცვლოდ.

[20] სიღრმისეული ინტერვიუ მოძრაობა „შეცვალეს“ წევრთან, 15 მაისი, 2021.

[21] სიღრმისეული ინტერვიუ „ევროპული საქართველოს“ ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრთან, 21 მაისი, 2021.

„არიან პარტიები, მათ შორის ოპოზიციური, რომელთაც მედროშეებად სჭირდებათ ახალგაზრდობა და დროშის ქნევით ახალგაზრდა ვერ განვითარდება“.[22].

დღესდღეობით საქართველოში, უმეტესწილად, პოლიტიკური პარტიების დამოკიდებულება ახალგაზრდებისადმი გამოყენებითია.

„პარტიებისთვის ახალგაზრდული ორგანიზაციის ყოლა, უხეშად გამომდის, მაგრამ ესე აღვიქვამ, ყავთ ახალგაზრდები, რომლებიც არიან უფასო მუშა ხელი, ენერგიით სავსე, მოძრავი, ახალგაზრდები სხვადასხვა საქმეზე შეიძლება უფრო მარტივად გამოიყენო“.[23]

„სამწუხაროდ არ ჰყავთ პარტიებს ახალგაზრდულები, არასწორად იყენებ - შავი საქმისთვის, დროშის ჭერისთვის, პოტენციალს არ იყენებ, რადგანაც არ უყურებენ გრძელვადიან პერსპექტივაში. არ აინტერესებთ მომავალში რა იქნება.“[24]

კიდევ ერთი მიზეზი პარტიებისთვის ახალგაზრდული ორგანზაციების და ახალგაზრდების მათ რიგებში ყოფნისა არის ახალგაზრდების ხმა, რომელიც პარტიაში თუ არ ისმის, მათ გაუჭირდებთ მომავალზე ორიენტირებული კამპანიის და გზავნილების მიტანა ამომრჩევლამდე. სხვადასხვა ჯგუფების ინტერესების გათვალისწინება, ახალგაზრდობის გამოწვევების ცოდნა, დასავლურ რეალობაში პოლიტიკური პარტიები, სწორედ, ამ მოტივებით რთავენ ახალგაზრდებს მათ რიგებში, მათთვის მნიშვნელოვანია ახალგაზრდული სეგმენტის აზრი, რადგან სწორედ ისინი აწვდიან ახალგაზრდა თაობის სათქმელს. თუმცა, ქართულ რეალობაში, ახალგაზრდა თაობასთან კომუნიკაციის მთავარი მიზეზი პოლიტიკური სუბიექ-

[22] სიღრმისეული ინტერვიუ პარტია „სტრატეგია აღმაშენებლის“ ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრთან, 5 ივნისი, 2021.

[23] სიღრმისეული ინტერვიუ პარტია „ლელოს“ ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრთან, 17 მაისი, 2021.

[24] სიღრმისეული ინტერვიუ „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ფრთის ყოფილ ხელმძღვანელთან, ამჟამად პარტია „ლელოს“ წევრია, 13 მაისი, 2021.

ტებისთვის საარჩევნო პროცესში ამომრჩევლის გულის მოგებაა, რადგანაც საარჩევნო კამპანიაში ახალგაზრდის გარეშე პარტია სათანადოდ ვერ იმუშავებს ახალგაზრდა სეგმენტის მხარდაჭერის მოპოვებაზე.

„სამწუხაროა, დღეს პოლიტიკური პარტიები თამაშობენ ახალგაზრდებით საზოგადოების ფართო მასაზე გასვლისთვის;“[25]

„ახალგაზრდების გვერდში დგომა პოლიტიკოსებისთვის მნიშვნელოვანი პრივილეგიაა.“[26]

პოლიტიკური პარტიისთვის ახალგაზრდული ორგანიზაციები წარმოდგენენ ერთგვარ ინდიკატორს საერთაშორისო არენაზე და საზოგადოებაში თავის დასამკვიდრებლად, ახალგაზრდები თვლიან, რომ პარტიების ამგვარი დამოკიდებულება საზოგადოების მოტყუებაა. ბევრი ახალგაზრდის მიბმით, პოლიტიკური სუბიექტები საზოგადოებას აჩვენებენ, რომ ახალგაზრდები მათთვის მნიშვნელოვანია, თუმცა, რეალურად, ახალგაზრდული ფრთის წევრები არ ერთვებიან პარტიების მნიშვნელოვან გადაწყვეტილებების მიღებაში.

„ხდება ვაჭრობა ახალგაზრდებით, მოწყვლად ჯგუფების ცნობიერებაში გარკვეული განწყობების შექმნა, რომ ახალგაზრდები ჰყავთ მხარდამჭერი“[27]

ამგვარი დამოკიდებულებით კი საბოლოოდ, ხდება ახალგაზრდების ინსტრუმენტალიზაცია, პარტიების ამგვარ დამოკიდებულებას ფართო საზოგადოება ვერ ხედავს, სამაგიეროდ ისინი ხედავენ ახალგაზრდებს აქციებზე, დროშებით ხელში და ჰგონიათ,

[25] სიღრმისეული ინტერვიუ პარტია „პატრიოტთა ალიანსის“ ახალგაზრდული ორგანიზაციის ყოფილ ლიდერთან, 21 მაისი, 2021.

[26] სიღრმისეული ინტერვიუ პარტია „ლელოს“ ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელთან, 11 მაისი, 2021.

[27] სიღრმისეული ინტერვიუ პარტია „პატრიოტთა ალიანსის“ ახალგაზრდული ორგანიზაციის ყოფილ ლიდერთან, 21 მაისი, 2021.

რომ ამ პარტიაში ახალგაზრდობის ხმა მნიშვნელოვანია. სინამდვილეში მოწინავე პოზიციებზე სულ სხვა ადამიანები აღმოჩნდებიან ხოლმე. პარტიებისთვის ახალგაზრდული ორგანიზაცია მნიშვნელოვანია პრაგმატული მოტივებით, რაშიც იგულისხმება მხარდამჭერთა რაოდენობის გაზრდა და ახალგაზრდების პარტიისადმი დადებითად განწყობა.

„ახალგაზრდულში როცა გჭირდება უბრალოდ ის ადამიანები, რომლებსაც თითს დაუტკაცუნებ და რაღაც პოსტს გააზიარებინებ ესე არ მესმის ახალგაზრდებთან მუშაობა“[28]

დღეისათვის, ახალგაზრდულ ორგანიზაციებს შორის, ისე როგორც პოლიტიკურ პარტიებს შორის, არ არსებობს იდეოლოგიური აზრთა სხვადასხვაობა, დაპირისპირება, დებატები პროგრამებსა და გეგმებზე, პოლარიზებული პოლიტიკური გარემო კი განაპირობებს ლიდერებს შორის დაპირისპირებას, რომელიც შემდგომ იერარქიულად გადაეცემა ქვედა დონეზე და დადის ახალგაზრდობამდე.

„ახალგაზრდებს აპროგრამებენ, მათ კითხვები აღარ უჩნდებათ“;[29]

„მათ სჭირდებოდათ, რობოტები, რომლებიც გარკვეულ შავ საქმეს შეასრულებდნენ“[30]

კვლევის მონაცემების შედეგად, დღევანდელ რეალობაში, ახალგაზრდების სათანადო პოლიტიკური სოციალიზაცია ნაკლებად შეინიშნება თავად პოლიტიკური პარტიების რიგებში. ზემოთ თქმული პარტიების მოტივები ახალგაზრდების მათ რიგებში ჩარ-

[28] სიღრმისეული ინტერვიუ პარტია „საქართველოსთვის“ ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრთან. 10 ივნისი, 2021.

[29] სიღრმისეული ინტერვიუ პარტია „ლელოს“ ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრთან, 17 მაისი, 2021.

[30] სიღრმისეული ინტერვიუ პარტია „პატრიოტთა ალიანსის“ ახალგაზრდული ორგანიზაციის ყოფილ ლიდერთან, 21 მაისი, 2021.

თულობისა, ხელს უშლის ახალგაზრდებს სწორ პოლიტიკურ სოციალიზაციას. დღეს, თითქმის არცერთი პოლიტიკური პარტია არ ანვითარებს ახალგაზრდებს პოლიტიკური კარიერის მიმართულებით. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ პოლიტიკურ პარტიებში არის დებატები, ტრენინგები, სააგიტაციო კამპანიები, თუმცა პარტიები არ ზრუნავენ გამოზარდონ ახალაზრდა პოლიტიკოსები ლიდერებად. ექსპერტების აზრით, ამის მიზეზად შეიძლება ჩავთვალოთ ის, რომ პარტიული ელიტა ჯერ კიდევ 1990-იანებიდან მოდის. *„როცა პოლიტიკა არ გვქონდა. თანამედროვე კონიუნქტურა პოსტსაბჭოთაა ჯერ კიდევ, რომელიც ძალიან იერარქიული და ჩაკეტილია და ახალგაზრდებს ხელს უშლის პოლიტიკურ განვითარებაში,* კარიერული *თვალსაზრისით ხელშეწყობა თანამედროვე პარტიულ ელიტაში არ ხდება“*.[31] საქართველოში, ჯერჯერობით, არ გვყავს 21-ე საუკუნის პოლიტიკოსები. გარდა ამისა, პოლიტიკური პარტიების ლიდერებზე კონცენტრაცია, შიდაპარტიული დემოკრატიის ნაკლებობა და მმართველობის ვერტიკალური და ბიუროკრატიული პრინციპი, ახალგაზრდებს ხელს უშლით თავიანთი პოლიტიკური კარიერის განვითარებაში. კვლევის პროცესში, ვისაუბრეთ ერთ-ერთი საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელთან, რომელმაც დატოვა პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაცია და გადაინაცვლა საზოგადოებრივ მოძრაობაში, ამის მიზეზი კი გახდა, როგორც არადემოკრატიული შიდაპარტიული მმართველობა, გაუმჭვირვალე კარჩაკეტილი სისტემა და პროტექციონიზმი, ასევე, საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტის მხრიდან ზეწოლა და ბულინგი (რესპოდენტის გამოცდილებით, პარტიულობა საზოგადოებისთვის ქილიკის მიზეზია).

„თუ პატრონი ეყოლებათ, საქართველოში ვართ სამწუხაროდ, კვლავ ასეა, რომ თუ პატრონი გყავს იქნებ პარტიაში გამოუვიდეს,

[31] სიღრმისეული ინტერვიუ ექსპერტ-ანალიტიკოსთან, 7 ივნისი, 2021.

და თუ საერთოდ ჭკვიანი გამოდგა 10–15 წელიწადში კაცად დადგეგა, მზგავსი დამოკიდებულებებით არიან პარტიები ახალგაზრდულისადმი“.[32]

პოლიტიკური კარიერის განვითარებაზე საუბრისას, პარტიების ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლების უმცირესი ნაწილი ამბობს, რომ ახალგაზრდული ორგანიზაციები ეხმარება ახალგაზრდებს პოლიტიკური კარიერის განვითარებაში, ამის მაგალითად ერთ-ერთი ორგანიზაციის წევრი „ნაციონალურ მოძრაობას“ ასახელებს, სადაც მოძრაობა „კმარას“ წევრები იყვნენ გაერთიანებულნი. თუმცა, ამ შემთხვევაში, კმარას ვერ მოვიაზრებთ ახალგაზრდული ორგანიზაციის სახით. ახალგაზრდის პოლიტიკური და პიროვნული განვითარება პარტიაში ჩართულობით გარკვეულწილად ხდება, თუმცა კარიერის დასამკვიდრებლად ახალგაზრდებს ავტომატურად უწევთ გავლენების მსხვერპლნი გახდნენ, აჰყვნენ თამაშში, ლიდერების მორჩილებით შემოიფარგლონ და სწორედ ეს პრაგმატიზმი ახდენს მათი საწყისი მორალური ღირებულებების ნიველირებას. პოლიტიკურ პარტიებს უჭირთ გააცნობიერონ, რომ *„როგორც მე გავიზრდები, ისე გაიზრდება პარტია“.*[33]

სრულიად განსხვავებული სიტუაციაა პარტია „გირჩის“ შემადგენლობაში. მათ რიგებში არ არსებობს ცალკე გამოყოფილი ახალგაზრდული ფრთა. „გირჩის“ იდეოლოგიიდან გამომდინარე, მათთვის მიუღებელია ბიუროკრატიული დაყოფა საზოგადოების ყველა სფეროში. კვლევის პროცესში რამდენიმე რესპოდენტმა გამოთქვა სურვილი, რომ პოლიტიკურ პარტიებში საერთოდ არ არსებობდეს ცალკე გამოყოფილი ახალგაზრდული ორგანიზაცია, მათი

[32] სიღრმისეული ინტერვიუ პარტია „ლელოს“ ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრთან, 17 მაისი, 2021.

[33] სიღრმისეული ინტერვიუ პარტია „ლელოს“ ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრთან, 17 მაისი, 2021.

ხედვით, სწორედ, ამგვარი დაყოფა იწვევს პარტიის სტრუქტურაში ახალგაზრდებისადმი არაჯანსაღ დამოკიდებულებას.

ახალგაზრდობის პოლიტიკური ჩართულობის შესასწავლად გამოვიყენეთ რაოდენობრივი კვლევის მეთოდიც, კონკრეტულად კი, კონტენტ ანალიზი, რის შედეგადაც შევისწავლეთ მე-10 მოწვევის პარლამენტართა ბიოგრაფიები და დავადგინეთ, თუ რამდენ მათგანს ჰქონდა ახალგაზრდობაში პარტიული აქტივობის გამოცდილება. აღნიშნული მონაცემები დაგვეხმარა განგვესაზღვრა, რამდენად გააჩნიათ პოლიტიკურ პარტიების აქტივობებში ჩართულ ახალგაზრდებს შემდგომი პოლიტიკური კარიერის განვითარების საშუალება. მონაცემების მიხედვით, დღევანდელი 150 დეპუტატიდან (25 წლამდე ასაკის), ოფიციალური და დამატებითი მასალებით მოძიებული მონაცმებით, დაახლოებით 5%-ს აქვს ახალგაზრდობაში პარტიული აქტივიზმის გამოცდილება, ანუ 8 ადამიანს, ხოლო კიდევ 7 ადამიანს ირიბი კავშირები ჰქონდათ მათ პერიოდში არსებულ სახელისუფლებო პარტიებთან.

რატომ მიდიან ახალგაზრდები პარტიების ახალგაზრდული ორგანიზაციებიდან?

ახალგაზრდების უდიდესი ნაწილი, გარკვეული პერიოდის შემდეგ, ტოვებს პარტიების ახალგაზრდულ ორგანიზაციებს. კვლევის პროცესში გამოიკვეთა ის ძირითადი დემოტივატორები, რის გამოც ახალგაზრდებს უწევთ პარტიისგან დისტანცირება სამუდამოდ ან დროებით. ემპირიული მასალის მიხედვით, ძირითადად, პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციიდან წასვლის მიზეზები უფრო ინდივიდუალურია და პრაგმატულ მოტივებს ემყარება - სამსახურის დაწყება, ოჯახის შექმნა. მოგეხსენებათ, რომ პოლიტიკური პარტიები არჩევნების შემდეგ ამცირებენ ფინანსური რესურსების გაცემას, ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ უბრალოდ აღარ თვლიან საჭიროდ არჩევნების შემდგომ ფინანსური რესურსის ხარ-

ჯვას, ან უბრალოდ, ეს რესურსები ეწურებათ, განსაკუთრებით მცირე პარტიებს. 2020 წლის საარჩევნო პერიოდი ცოტა განსხვავებული აღმოჩნდა, რადგან არჩევნების შემდეგ პარტიებს მაინც მოუწიათ ადამიანიური რესურის შენარჩუნება მასშტაბური აქციების ფონზე. თუმცა, როგორც წესი, არჩევნების შემდგომ ახლგაზრდულ ორგანიზაციაში ახალგაზრდების რაოდენობა მკვეთრად იკლებს.

არჩევნების შემდეგ, როდესაც პარტიები ამცირებენ ფინანსური რესურსების გაცემას პარტიაში ჩართული ახალგაზრდების მიმართ, ისინი იძულებულნი ხდებიან დატოვონ პარტია ან პასიურ როლში გადაინაცვლონ, რადგან მასლოუს პირამიდა რომ გავიხსენოთ, ადამიანებს, პირველ რიგში, ბიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება უწევთ, რასაც ფინანსური რესურსები სჭირდება, ამიტომ ახალგაზრდები მიდიან იქ, სადაც შეძლებენ ამ რესურსების გამომუშავებას. რესპოდენტების ნაწილის აზრით, სწორია, როცა პოლიტიკური პარტიების მხრიდან ხდება ახალგაზრდების ფინანსური უზრუნველყოფა. რადგანაც, მათი ხედვით, *„ესე ჰაერიდან ვერ ჩამოვარდებიან ახალგაზრდები. როცა ამდენ რესურს დებს ახალგაზრდა - აუცილებელია მისი ხელშეწყობა“.*[34]

„მე ახალგაზრდულში ვარ და აი რაღაცაში გეხმარები, მე უნდა მქონდეს რაღაც ბენეფიტი, რაც ჩემს განვითარებას შეუწყობს ხელს, ეს ძალიან ლოგიკურია“.[35]

გარდა პრაგმატული მიზნებისა, ახალგაზრდამ შეიძლება დატოვოს პარტია ან ახალგაზრდული ორგანიზაცია უფრო ფუნდამენტური მიზეზების გამო. ახალგაზრდობის პარტიულ დემოტივატორებზე საუბრისას, ექსპერტ-პოლიტიკოსები გვისახელებენ იმ მნიშვნელოვან მიზეზებს, რომლებიც ახალგაზრდებს უბიძგებს არა მხო-

[34] სიღრმისეული ინტერვიუ პარტია „საქართველოსთვის“ ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრთან. 10 ივნისი, 2021.

[35] სიღრმისეული ინტერვიუ პარტია „საქართველოსთვის“ ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრთან. 10 ივნისი, 2021.

ლოდ დისტანცირდნენ პარტიისგან, არამედ ჩამოუყალიბდეთ პოლიტიკური ნიჰილიზმის განცდა. ხშირად, პარტიების ფუნდამენტური გადაწყვეტილებები მცირე ჯგუფის ან კონკრეტულად პარტიის ლიდერის დონეზე წყდება. ამ პროცესში ახალგაზრდული ფრთის წევრების ინიციატივები და შეხედულებები, ხშირად, ნიველირებულია. როდესაც ახალგაზრდა აცნობიერებს, რომ პოლიტიკური პარტია მას აქტიურად იყენებდა წინასაარჩევნოდ სააგიტაციო პროცესებში, მის შემდგომ კი პროცესები პასიურ ფაზაში გადადის და მისი როლიც პარტიაში უმნიშვნელო ხდება, ბუნებრივია, ახალგაზრდას უჩნდება უპერსპეტივობისა და ბრძოლის ამაოების განცდა. ამ ფონზე, ცალკეულ ინდივიდებს არ შესწევთ გამოცდილება, ბრძოლისუნარიანობა თუ პოლიტიკური ნებისყოფა, რომ საკუთარი აზრები და ინიციატივები, თუნდაც განსხვავებული, გააჟღერონ და განახორციელონ პარტიის რიგებში, რაც საბოლოოდ, უქმნის განცდას, რომ პოლიტიკა მართლაც „ბინძურია“ და ამ სიბინძურეში ბრძოლა ამაოა. სწორედ, ესაა ერთ-ერთი მიზეზი ახალგაზრდების მიერ პარტიისა თუ ახალგაზრდული ორგანიზაციის დატოვებისა.

არსებობს ამომრჩევლის, პოლიტიკური ელიტისა და სახელმწიფოს წყობიდან გამოწვეული ახალგაზრდების დემოტივატორები, მაგალითად ის, რომ წაგებული პარტიის მხარდამჭერი ტაბუდადებულად აღიქმება. ამომრჩევლებში ხშირია სტერეოტიპული დამოკიდებულება ახალგაზრდა კანდიდატებისადმი ისინი დაცინვის საგანი ხდებიან და ელექტორატის ნაკლები მხარდაჭერით სარგებლობენ.

პოლიტიკოსები და თავად ახალგაზრდები ასახელებენ ახალგაზრდების ინდივიდუალურ ფსიქოლოგიურ მიზეზებს, როს გამოც ახალგაზრდები ტოვებენ ხოლმე პარტიებს, როგორებიცაა, ნებისყოფა, პრიორიტეტების განსხვავებულობა, განცდა იმისა, რომ ყველაზე ჭკვიანია, წაგების მიუღებლობა. პარტიების საარჩევნო შედეგის შემდეგ, ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრების ნაწილი იმედგაც-

რუებული რჩება. ზოგჯერ, პარტიების დაბალი შედეგი განაპირობებს ახალგაზრდის პარტიისგან დისტანცირებას. თუმცა, ვფიქრობთ, რომ მხოლოდ ცალკე პარტიის საარჩევნო შედეგი არ განსაზღვრავს ახალგაზრდების დემოტივაციას. გამომდინარე იქედან, რომ პოლიტიკური სუბიექტები ვერ სთავაზობენ ახალგაზრდებს გრძელვადიანი განვითარების შესაძლებლობას, ახალგაზრდებს უწევთ პარტიების ახალგაზრდული ორგანიზაციების დატოვება.

დასკვნა

2020 წლის საარჩევნო პერიოდში, წინასაარჩევნო კამპანიის განმავლობაში პარტიების ახალგაზრდულ ორგანიზაციებში ახალგაზრდობის ჩართულობა თავად პოლიტიკური პარტიებისთვის უაღრესად მნიშნელოვანი იყო. ახალგაზრდების დახმარებით პოლიტიკური სუბიექტები ცდილობდნენ ელექტორატის მხარდაჭერის მოპოვებას. პოლიტიკური სუბიექტებისთვის 2020 წლის არჩევნების შემდგომ, პოლიტიკურად დაძაბული სიტუაციის ფონზე, ახალგაზრდული ორგანიზაციების შენარჩუნება მნიშვნელოვანი იყო, თუმცა, საერთო ჯამში, არჩევნების შემდგომ ახალგაზრდული ორგანიზაციების მუშაობა შესუსტდა, პარტიებისთვის ამ პერიოდში ახალგაზრდები და მათი პოლიტიკური განვითარება აღარ იყო პრიორიტეტული. საპარლამენტო მანდატის მქონე პარტიების ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრები მონაწილეობენ სხვადასხვა აქტივობებში, თუმცა, ძირითადად, ეს აქტივობები პარტიების პოპულარიზაციას ემსახურება წინასაარჩევნო პერიოდში, ან რაიმე პოლიტიკური მოვლენის გასაპროტესტებლად, სადაც პარტიები ახალგაზრდების მასას ქმნიან და ჩნდებიან საზოგადოებასა და საერთაშორისო ასპარეზზე, როგორც აქტიური პოლიტიკური ძალა.

ახალგაზრდული ორგანიზაციების აქტივობის შესწავლის შედეგად დავადგინეთ, რომ ძირითადად ახალგაზრდების საქმიანობა პოლიტიკურ პარტიებში შემოიფარგლება „შავი“ სამუშაოების შეს-

რულებით, რომელსაც დიდი ენერგია, ენთუზიაზმი და ბრძოლისუნარიანობა სჭირდება. რაც შეეხება პოლიტიკურ სოციალიზაციას, პარტიებისთვის, 2020 წლის საარჩევნო პერიოდში, ახალგაზრდების პოლიტიკური აღზრდა არ იყო პრიორიტეტული. სულ რამდენიმე პარტია გამოიკვეთა 2020 წლის არჩევნებში, რომლებმაც თავიანთი პროპორციული და მაჟორიტარული სიების მოწინავე პოზიციებზე ახალგაზრდა წარმომადგენლები ჩასვეს, ისიც ძალიან მცირე რაოდენობით. საქართველოში თითქმის არ არსებობენ პოლტიკური სუბიექტები, რომლებიც პარტიული პროგრამის წერაში რთავდნენ, ეკითხებოდნენ აზრს ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრებს. მე-10 მოწვევის პარლამენტის დეპუტატებს შორის ძალიან მცირე რაოდენობას, სულ 5 %-ს აღმოაჩნდა პარტიების ახალგაზრდულ ორგანიზაციებში მუშაობის გამოცდილება, რაც ნიშნავს იმას, რომ ახალგაზრდების პოლიტიკური განვითარებისთვის პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდული ორგანიზაციები ერთ-ერთი ბოლო ადგილია. სწორედ ამგვარი დამოკიდებულებიდან გამომდინარე სუფევს ახალგაზრდებში პოლიტიკური ნიჰილიზმი და აღიქმება პოლიტიკა „ბინძურ საქმედ“.

კვლევამ აჩვენა, რომ ახალგაზრდების აქტივობა პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პერიოდში მნიშვნელოვნად განსხვავდება არასაარჩევნო პერიოდში მიმდინარე პროცესებისგან. წინასაარჩევნო პერიოდში ახალგაზრდების აქტიურობა პარტიებში წარმოადგენს ერთგვარ „სეზონურ სამუშაოს“, რომელიც არჩევნების შემდეგ სრულდება. ახალგაზრდების ჩართულობა პარტიებისთვის უმნიშნელოვანესია, რადგან ახალგაზრდები საარჩევნო პერიოდში უფრო ეფექტური, სამართლიანი და პრინციპულები არიან, ამიტომ ხმებს ბევრად უკეთ იცავენ არჩევნების დღეს. ზოგიერთ პოლიტიკურ პარტიას შედარებით უფრო აქტიურად ჰყავდა ახალგაზრდები ჩართული საარჩევნო კამპანიაში, ექსპერტების შეფასებით, ასეთი ძირითადად ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები იყვნენ. თუმცა ძი-

რითადად, ახალგაზრდების საქმიანობა წინასაარჩევნო პერიოდში ე. წ. „შავი“ სამუშაოს შესრულებას გულისხმობს, რომელიც ყველაზე რთულია. წინასაარჩევნო პერიოდი მოიცავდა ასევე ახალგაზრდების იმგვარ სპორტულ, კულტურულ, საგანმანათლებლო გასვლით ღონისძიებებსაც, რომელთა მიზანიც პარტიის პოპულარიზება იყო. კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ შედარებით მცირერიცხოვან და ახლად დაარსებულ პარტიებში 2020 წელს უფრო მეტად ხდებოდა ახალგაზრდების მობილიზება საპასუხისმგებლო პოზიციებზე, მაგალითად, შტაბის ხელმძღვანელად, საარჩევნო პროპორციული სიების მოწინავე პოზიციებზე, საარჩევნო პროგრამის შედგენისას.

ახალგაზრდობის პოლიტიკური ნიჰილიზმის მიზეზები

დიაგრამა №1

არჩევნების შემდგომ პერიოდში ახალგაზრდული ორგანიზაციების აქტიურობა მცირდება, რადგანაც სააგიტაციო საქმიანობები აღარაა. 2020 წლის არჩევნების შემდეგ ახალგაზრდული ორგანიზაციების ძირითადი საქმიანობა სხვადასხვა საპროტესტო აქციებში

მონაწილეობა იყო შესაბამისი ატრიბუტიკით. ასევე, სხვადასხვა ტრენინგებს, სემინარებს, ხდება ახალგაზრდების „მიბმა“ პარტიებში კონკრეტული თემატიკების წარმომადგენლებთან, ინტერესიდან გამომდინარე, რეგიონალურ გასვლებს. კვლევაში გამოიკვეთა ის წარმატებული აქტივობები, რომლებსაც პარტიები ახორციელებდნენ 2020 წლის საარჩევნო პერიოდის განმავლობაში ახალგაზრდების ჩართულობით. ძირითადად, მათი წარმატებული აქტივობები მოიცავდა ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა საპროტესტო აქციაპერფორმანსები. მსხვილი პარტიების შემთხვევაში გამოიკვეთა შედარებით მასშტაბური ახალგაზრდული პროექტებიც.

პარტიებისთვის ახალგაზრდული ორგანიზაციები მნიშვნელოვანია პრაგმატული მოტივებით, რაშიც იგულისხმება:



კვლევის შედეგად დადგინდა, რომ არც ერთ პოლიტიკურ სუბიექტს არ გააჩნია რეალური ახალგაზრდული პოლიტიკა გაწერილი გეგმის სახით, პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდულ ორგანიზაციებში ახალგაზრდების სათანადო პოლიტიკური სოციალიზაცია ნაკლებად შეინიშნება. დღეს თითქმის არცერთი პოლიტიკური პარტია არ ანვითარებს ახალგაზრდებს პოლიტიკური კარიერის მიმართულებით. ახალგაზრდის პოლიტიკური და პიროვნული განვითარება პარტიაში ჩართულობის თანმდევი პროცესია, თუმცა კარიერის დასამკვიდრებლად ახალგაზრდებს ავტომატურად უწევთ გავლენების მსხვერპლნი გახდნენ. პარტიები არ ზრუნავენ გამო-

ზარდონ ახალგაზრდა პოლიტიკოსები ლიდერებად. აღნიშნულ ფაქტს განაპირობებს:

დიაგრამა №2:



კვლევამ დაადასტურა, რომ არსებობს ახალგაზრდების პარტიიდან წასვლის სხვადასხვა დემოტივატორები:

დიაგრამა №3:

ბიბლიოგრაფია

- cesko.ge. (2020). რეგისტრირებული პარტიული სიები. Retrieved 06 02, 2021, from https://cesko.ge/geo/list/show/120858-registrirebuli-partiuli-siebi-
- Glasberg, & Shannon, D. S. (2011). Political sociology: Oppression, resistance, and the state. *Thousand Oaks: Pine Forge Press*, 56.
- Hyman, H. (1959). Political Socialization: A Study in the Psychology of Political Behavior. *New York: Free Press*.
- Jijelava, D. (2012, 03). Tbilisi, Georgia: NIMD Georgia. Retrieved 04 07, 2021, from file:///C:/Users/gogag/Desktop/files/%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%92%E1%83%90%E1%83%96%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%20%E1%83%93%E1%83%90%20%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90/Intra-party-d
- Merelman, & Herman. (1986). Revitalizing Political Socialization. Political Psychology: Contemporary Problems and Issues. *San Francisco: Jossey-Bass*, 279-319.
- Podolian, Ekman, & Gherghina. (2016). Challenges and realities of political participation and civic engagement in central and eastern Europe. Retrieved 05 03, 2021, from https://www.researchgate.net/publication/297589943_Challenges_and_realities_of_political_participation_and_civic_engagement_in_central_and_eastern_Europe
- Stolle, & Hooghe. (2005, 03). Youth organizations within political parties: Political recruitment and the transformation of party systems. (J. Forbrig, Ed.) Retrieved 05 09, 2021, from file:///C:/Users/gogag/Desktop/files/%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%92%E1%83%90%E1%83%96%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%20%E1%83%93%E1%83%90%20%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9

8%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90/%E1%83%9A%E1%

- Weber, r. (2017, 10). Political participation of young people in political parties: A literature review of influencing factors on the macro, meso and micro level of participation. Germany: © Springer Fachmedien Wiesbaden. Retrieved 05 09, 2021
- ტურიაშვილი, თ. (2016, 09). *საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი.* Retrieved 04 30, 2021, from http://gip.ge/: http://gip.ge/wp-content/uploads/2016/09/%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%90-%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98-1.pdf

Mariam Gelkhauri

Youth Organizations of Political Parties in Georgia as a Tool for Political Socialization of Youth (2020 Parliamentary Elections)

Abstract

The article discusses the role of youth organizations of political parties in the political socialization of young people during the 2020 parliamentary elections in Georgia. In-depth interviews with young representatives of 9 political entities (which crossed the 1% threshold) revealed opportunities for political socialization of youth. It was found that political parties in their ranks do little to encourage young people to develop politically and develop their political careers from youth organizations of political parties.

In today's political parties, there is a practical attitude towards the members of youth organizations, which leads to the nihilistic attitude of the youth towards the parties and politics in general, which is why they often leave the party. The pre-election activities of the youth organizations of the parties during the 2020 parliamentary elections were different from the activities of the post-election period. It has been found that the number of young people in the youth wing has dropped dramatically since the election due to a reduction in resources or initiatives by the party.

Keywords: *Youth organizations, political parties, parliamentary elections, political socialization*